პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

სამშაბათი
24 ოქტომბერი
1939 წ.
№ 245 (5645)
ფასი 10 კაპ.

დღეს იწყება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია.

ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში ჩვენი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს კომუნისტთა და უპარტიოთა დიადი კავშირის ურყევ ძალას, მთელი საბჭოთა ხალხის მონოლიტურ შემჭიდროებას ბოლშევიკთა გმირული პარტიის მისი ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ამხანაგი **სტალინის** გარშემო!



ყინულმჭრელი „სედოვი“

კაპიტან ბაღიგინს

კაპიტანის თანაშემწეს პოლიტნაწილში ფროფიმოვს

დრეიფის მეორე წლისთავზე „სედოვის“ მთელ ეკიპაჟს ვუგზავნით გოლშევიკურ სალამს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ძველა გაჭირვების ძლევამოსილად გადალახვას, სამშობლოში დაბრუნებას არქტიკის სიძნელეებთან ბრძოლით გამოწრთობილებად.

გართმევთ ხელს, ამხანაგებო!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს დავალებით

ი. სტალინი **ვ. მოლოტოვი**

მოსკოვი, 23 ოქტომბერი 1939 წ.

საარჩევნო კამპანია კიდევ უფრო მჭიდროდ შეამჭიდროებს საბჭოთა ხალხს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო

დედაქალაქის მშრომელები მიესალმებიან საარჩევნო კამპანიის დაწყებას

მიტინგი ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ბურთულსაკისარის 1-ლ სახელმწიფო ქარხანაში

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ბურთულსაკისარის 1-ლი სახელმწიფო ქარხნის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეეგება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის 24 დეკემბრისათვის დანიშვნისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ. საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ შესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა საამქროებში 22 ოქტომბერს გამართული ხალხმრავალი მიტინგები.

გორგოლაჭის საამქროების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიტინგზე მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა სტახანოველმა ოსტატმა ამხ. გორდაშნიკოვმა.

საამქროს მიტინგებზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ბურთულსაკისარის 1-ლი ქარხნის კოლექტივი აცხადებს:

— სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. საარჩევნო კამპანიას ჩვენ ჩავატარებთ ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნით, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების ყოველნაირად განმტკიცების ნიშნით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში ჩვენ დავასახელებთ საბჭოთა ხალხის საუკეთესო ვაჟებსა და ქალიშვილებს, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის სჭქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან.

ლენინის ქალაქის საწარმოებში

ლენინგრადი, 22 ოქტომბერი (საკდესი). რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის შესახებ დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ლენინის ქალაქის საწარმოებში.

გუშინ კიროვის ქარხანაში, ფაბრიკა „სკოროხოდში“, ვოლოდარსკის სახელობის სამკერავლო ფაბრიკაში, კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილაში“, რძის კომბინატისა და სხვა საწარმოთა საამქროებში საღამოსა და ღამის ცვლების დროს შესდგა ხალხმრავალი მიტინგები.

კიროველები ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში სწერენ:

„ახალს საარჩევნო კამპანიაში ჩვენ ძირითად ამოცანად ვისახავთ კომუნისტთა და უპარტიოთა მონოლიტური ბლოკის შემდგომ განმტკიცებას.

ადგილობრივ საბჭოებში გავგზავნით მოწინავე ადამიანებს — სტახანოველებს, მრავალდაზგოსნებს, წარმოების საუკეთესო მეთაურებს, მოწინავე დიასახლისებს.

ვალდებულებას ვკისრულობთ გავამრავლოთ საარჩევნო კამპანიის ღღეებში მრავალდაზგოსანთა რიგები, გავადიდოთ რამდენიმე პროფესიის შემთავსებელ მუშათა რიცხვი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე აღვნიშნოთ ახალი საწარმოო გამარჯვებებით, წლიური პროგრამა შევასრულოთ 40 მილიონი მანეთის გადაჭარბებით“.

24 დეკემბერი — უკრაინის, ბელორუსიისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა

კიევი, 23 ოქტომბერი (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უკრაინის სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები 1939 წლის 24 დეკემბრისათვის დანიშნა.

○

მინსკი, 23 ოქტომბერი (საკდესი). ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბელორუსიის სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, რაიონული ქალაქებში, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები დანიშნულია 1939 წლის 24 დეკემბრისათვის.

○

ერევანი, 23 ოქტომბერი (საკდესი). სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები დანიშნულია 1939 წლის 24 დეკემბრისათვის.

მიტინგი ბელაღის სახელობის ქარხანაში

გუშინ საღამოს, შესვენების დროს, **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის (თბილისი) მუშათა კოლექტივის მიტინგზე, რომელსაც 500-ზე მეტი კაცი ესწრებოდა, გაეცნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის დანიშვნისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ.

მიტინგზე სიტყვა აიღო ამწყობი საამქროს სტახანოველმა ოსტატმა ამხ. ბ. სამთელაძემ.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — სთქვა მან, — მშრომელთა დეპუტატების არჩევნების დღეს — 24 დეკემბერს ახალი საწარმოო ალმავლობით შეხვდება. ჩვენ სანიმუშოდ დავაყენებთ სააგიტაციო მუშაობას როგორც თვით ქარხანაში, ისე საარჩევნო უბნებში, ხოლო არჩევნების დღეს ხმას მივცემთ ლენინ-სტალინის პარტიის ბოლომდე ერთგულ ადამიანებს, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

შემდეგ გამოვიდა სტახანოველი ელექტროშემდუღებელი ზ. ნადირაძე.

— ჩემი საწარმოო მაჩვენებელი 500-600 პროცენტზე დაბლა არ ჩამოდის. სიტყვას ვიძლევი არჩევნების დღეს უფრო მაღალი მაჩვენებლებით შევხვდე. ჩვენი ქარხნის კოლექტივი, ღირსეულად ატარებს რა დიდი **სტალინის** სახელს, საბჭოების არჩევნების დღის აღსანიშნავად გეგმაზე ზევით სამშობლოს მისცემს ახლადშეკეთებულ ჯანსაღ ორთქლმავლებს.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს ავრეთვე მექანიკური საამქროს სტახანოველმა ავიტატორმა ამხ. ე. ბერიაშვილმა, ამწყობი საამქროს ოსტატმა ავიტატორმა ამხ. ა. ათანასოვმა და სხვ.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბელადის სახელობის ქარხნის მუშათა კოლექტივი საამაყო მაჩვენებლებით შეხვდება საბჭოების არჩევნების დღეს—წლიურ საწარმოო გეგმას შეასრულებს 20 ნოემბრისათვის და ჩვენს მძლავრ სარკინიგზო ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემს მაღალხარისხოვნად შეკეთებულ ორთქლმავლებს.

ახალი საწარმოო აღმავლობით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა) რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების არჩევნების დღის შესახებ“ უდიდესი აღფრთოვანებით და ახალი საწარმოო აღმავლობით შეხვდნენ ა.-ჯ. რკინიგზის კვანძის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

გაზ. „კომუნისტის“ მიღებისთანავე კვანძის 120 ავიტატორმა და წამკითხავმა დასვენებისას მოაწყო ბრძანებულების წაკითხვა, რასაც მუშები ცხოველი ინტერესით ისმენდნენ.

თბილისის რკინიგზის კვანძის საბარგო და სახალხო სადგურების, ავრეთვე სავაგონო და საორთქლმავლო პარკების სტახანოველმა მუშებმა ამხ. ჯანელოვმა, გონჩაროვმა, სანაძემ და სხვ. იკისრეს—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს 24 დეკემბერს ახალი მიღწევებით შეხვდნენ; თვიური საწარმოო გეგმები 443 პროცენტით შეასრულონ, და იმუშაონ 2-3 სარანდავ დაზგაზე.

ამწევი საამქროს სტახანოვურმა ბრიგადამ ვალდებულება აიღო ოქტომბერში გეგმის ზევით 2 ორთქლმავალი შეაკეთოს. სახალხო სადგურის მეისრე მუშებმა ამხ. ი. გოგილაშვილმა, ი. ირემაშვილმა და ა. ბეგლარაშვილმა იკისრეს დაიცვან ტექნიკური ექსპლოატაციის ნორმები, არ დაუშვან არცერთი ავარია, დაუგვიანებლივ და თავის დროზე შეადგინონ მატარებლები და სხვ. ასეთივე ვალდებულებები აიღეს დანარჩენმა მუშებმაც.

ახალი გამარჯვებებით შევხვდებით არჩევნების დღეს

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის დანიშვნისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ. 23 ოქტომბერს საამქროებში საუბრები ჩატარდა.

საბჭოთა საქართველოს თვითეული მშრომელი, — ამბობს საქსოვი საამქროს ქარგალი ამხ. ა. ჯახიანი, — უდიდესი სიხარულით მოელის 24 დეკემბერს. ეს დღე სახალხო ზეიმის დღეა. ჩვენი დიადი ქვეყნის მოქალაქენი 24 დეკემბერს ხმას მისცემენ ლენინ-სტალინის პარტიას საქმის ერთგულ ადამიანებს.

მე გამოყოფილი ვარ აგიტატორად, არ დავზოგავ ენერგიას, რათა ღრმად შევასწავლო დიასახლისებს საარჩევნო კანონი.

საამქროს სახელით — აცხადებს ამხ. ჯახიანი—ვალდებულებას ვკისრულობ წლიური გეგმა შევასრულოთ 1 დეკემბრისათვის.

— ფაბრიკის პარტორგანიზაციამ, — ამბობს საქსოვი ფაბრიკის ინჟინერი ამხ. გ. დოღონაძე, — უდიდესი ნდობა გამომიცხადა და აგიტატორის საპატიო მოვალეობა დამაკისრა. მე პირობას ვიძლევი, საფუძვლიანად შევასწავლო ამომრჩევლებს დებულება, აქტიურად დავეხმარო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო ოლქებისა და უბნების მოწყობაში. პირობას ვიძლევი, საქსაბე განყოფილების მიზეზით ერთი წუთითაც არ შევაფერხო ფაბრიკის მუშაობა.

ასეთივე აღფრთოვანებით აცხადებდა ფაბრიკის ბევრი სხვა მუშა, რომ ფაბრიკა 24 დეკემბერს ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდება. (საქდესი).

ერთსულოვნად მიესალმებიან საარჩევნო კამპანიის დაწყებას

(ჟუთაისი, 23 ოქტომბერი, ტელეფონით „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

დღეს მთელ ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 1939 წ. 24 დეკემბრისათვის დანიშვნის და 24 ოქტომბრიდან საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ.

ქ. ჟუთაისის მშრომელნი აღფრთოვანა ამ სასიხარულო ცნობამ. მუშაობის დამთავრების შემდეგ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ოჯახებში ასეულობით აგიტატორებმა მოაწყეს ბრძანებულების ხმამაღლა წაკითხვა-გაცნობა.

ჟუთაისის ტაკ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშებმა ცნობას 24 ოქტომბრიდან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიის გამოცხადების შესახებ ახალი საწარმოო ვალდებულებათა აღებით უპასუხეს. ფეხსაცმლის მკერავმა რ. კუხნიანიძემ 23 ოქტომბერს დღიური დავალება 121 პროცენტით შეასრულა და იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.000 წყვილი ფეხსაცმელი. კომბინატის სტახანოველმა მუშამ ნ. მამაგეიშვილმა იკისრა არჩევნების დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 1.500 წყვილი საუკეთესო ხარისხის ფეხსაცმელი.

გ. ყურაშვილი

ვიყოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლის მაღალი სახელწოდების ღირსნი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას 24 დეკემბრის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღედ დანიშვნისა და საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ თბილისის **საარტილერიო** სასწავლებლის მეთაურები და პოლიტმუშაკები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

სასწავლებლის ყველა ქვედანაყოფში ბრძანებულებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა.

— თვითეული ჩვენგანი, — სთქვა კურსანტმა ჰიმანოვმა, — მომავალ არჩევნებში უნდა გახდეს მგზნებარე აგიტატორი კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამარჯვებისათვის. ხვალ შესანიშნავი წინააღმდეგობა გაუწიეს ფაშისტურ ფინეთის ბატონებს ჩვენი საბჭოთა მებრძოლები. ჩვენ ვიცით, რომ ფინეთის ხალხი ჩვენი ძმაა. ჩვენ ვიცით, რომ ფინეთის ხალხი ჩვენ ძმებად მიგვიღებს, როგორც კი ფინეთის ხალხი დაამხობს ფინეთის ფაშისტურ მთავრობას და ფინეთში დამყარდება ხალხის ძალაუფლება.

ამ ბრძანებულების ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ ასეულობით ადამიანი ჩაეწერა აგიტატორად.

საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ ბრძანებულებას ხმამაღლა წაუკითხეს ასევე ბრძოლის ველზე მყოფ ჩვენ მებრძოლებს.

ოპერა „ანუშის“ უდიდესი წარმატება

წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ს. შჩერბაკოვი.

22 ოქტომბერს სომხეთის ა. ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა აჩვენა დეკადის პროგრამაში შეტანილი თავისი მეორე დადგმის პრემიერა—ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწის ა. ტ. ტიგრანიანის ოპერა „ანუში“. არსებითად კომპოზიტორის მიერ 30 წლის წინათ დაწერილი ამ ნაწარმოებით იწყება სომხური ნაციონალური ოპერის შექმნის ისტორია. სპექტაკლს საფუძვლად დაედო სომეხი ხალხის დიდი პოეტის ოვანეს თუმანიანის პოემა მთის შვილების — საროსა და ანუშის სავალალო ცხოვრების შესახებ, მათი ტრაგიკული სიყვარულის ისტორიის შესახებ.

სომხური ხელოვნების დეკადის თვითეული წარმოდგენა საბჭოთა თეატრის ნამდვილი დღესასწაულია. ოპერა „ანუშის“ პრემიერას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სახალხო კომისრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

დამდგმელმა — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ჰ. გულაკიანმა, დირიჟორმა მ. ა. თავრიზიანმა და მხატვარმა პ. ა. ანანიანმა ბრწყინვალე, ამაღელვებელი, შემშარიტად ხალხური სპექტაკლი შეჰქმნეს.

დიდებულად ჟღერდა მუსიკა, რომელშიაც ჩაქსოვილია სომხური მუსიკალური ფოლკლორის მრავალი საუკეთესო ნიმუში. უდიდეს მთაბეჭდილებას სტოვებს გუნდი.

ოპერის მთავარ როლებში გამოვიდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — ა. ბ. დანიელიანი(ანუში) და შარა-ტალიანი (სარო). ორივენი სომხური თეატრის ოსტატთა უფროსი თაობის გამოჩენილ წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნიან. ა. ბ. დანიელიანმა, რომელსაც მომხიბვლელი ხმა და დიდი ვოკალური ოსტატობა ახასიათებს, ძლიერი და შთაბეჭდილების მომხდენი სახე შეჰქმნა ქალიშვილისა, რომელიც ღრმად განიცდის პირად ტრაგედიას. შარა-ტალიანს საუცხოოდ მიჰყავს საროს პარტია, იგი ოსტატურად გადმოგვცემს ხალხური სომხური სიმღერის სტილს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი ამ როლის პირველი შემსრულებელი იყო ჯერ კიდევ 1912 წელს, როცა ოპერა „ანუში“ მოწაფეთა ძალებით დაიდგა ალექსანდროპოლში (ახლანდელ ლენინაკანში).

მოსის წარუშლელი სახე შეჰქმნა ნ. ნ. სერდობოვმა, რომელიც თეატრის ერთერთი უნიჭიერესი მსახიობია. საერთო შთაბეჭდილებას ავსებდნენ დანარჩენი როლების შემსრულებლები—ტ. კ. შახნაზარიანი (ანუშის დედა), მ. გ. სედმარი (საროს დედა), ვ. ლ. ალენაკიანი (გლეხი ოგაკი), სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ტ. ნ. აივაზიანი (სოფლის მამასახლისი), ტ. კ. ხაჩატურიანი (ანუშის მეგობარი ქალი) და სხვ.

უდიდესი წარმატებით ჩატარდა ცეკვა, ი. ი. არბატოვის (იაგუბიანის) მიერ დადგმული. მსახიობმა ქალმა გ. არუტმა საქორწილო ლხინის სცენაში ბრწყინვალედ შეასრულა პატარძლის ცეკვა, ხოლო მსახიობებმა მ. ალავერდიანმა და პ. გალუსტიანმა—ლეკური. საზოგადოების მოთხოვნით ორივე ცეკვა გამეორებულ იქნა.

მოსკოველები გულმხურვალედ შეხვდნენ საოპერო სპექტაკლს „ანუშს“, რომელიც თეატრის მნიშვნელოვან შემოქმედებითს გამარჯვებას წარმოადგენს. შესანიშნავი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დამსწრენი ხანგრძლივი აღფრთოვანებული ოვაციით მიესალმნენ დადგმის მონაწილეებს და ავტორებს.

წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი და ა. ს. შჩერბაკოვი.** (საკდესი).

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲐᲯᲙᲘᲪᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲠᲯᲘᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘ!

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ტერიტორიაზე ორი საარჩევნო უბნისა და 8 საარჩევნო ოლქის შექმნაა ნავარაუდევი. ამ უბნებსა და ოლქებში ძირითადად ამავე ფაბრიკის მუშათა ოჯახები ცხოვრობენ. ამიტომ აქ საგიტაციო მუშაობის დაყენების საქმეს ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს.

128 აგიტატორი—არც ისე მცირე რიცხვია, რომელიც ფაბრიკის პარტორგანიზაციამ გამოჰყო და ხსენებულ საარჩევნო უბნებს მიამაგრა. ეს აგიტატორები, წარმოების მოწინავე ადამიანები, იგივე სტახანოველი მუშებია, რომლებიც ფაბრიკაში სტახანოვური მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებენ. ფაბრიკასთან შექმნილი აგიტკოლექტივი, რომელსაც სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარე ვერა ბერაძე ხელმძღვანელობს, დიდ დახმარებას უწევს აგიტატორებს თავიანთ მუშაობაში. ბევრმა აგიტატორმა უკვე გაიარა ფაბრიკასთან ჩამოყალიბებული 12-დღიანი კურსები.

ამომრჩეველთა რიცხვის ხელახლა გამოთვლა დამთავრებულია, დაზუსტებულია ამომრჩეველთა სიები, სპეციალურად შედგენილ რუკაზე დასახულია საარჩევნო უბნებისა და ოლქების საზღვრები.

ტექნიკურ-ორგანიზაციულ მზადებასთან ერთად ფართოდ გაიშალა მასობრივი საagიტაციო მუშაობა ფაბრიკასა და მუშათა საერთო საცხოვრებლებში. ფაბრიკის საამქროებში ჯერჯერობით 44 წრე მუშაობს, ხოლო საერთო საცხოვრებლებსა და შეუკავშირებელ მოსახლეობაში—84. წრეებისათვის სამეცადინოდ გამონახულია ბინები. წრეები უზრუნველყოფილი არიან აგრეთვე სათანადო ლიტერატურით და სხვ.

საagიტაციო მუშაობაში უმთავრესად ჩაბმულია ახალი აქტივი. მათთან ერთად მუშაობენ ის ამხანაგებიც, რომელთაც 3-4 წლის აგიტატორად მუშაობის გამოცდილება აქვთ. ისინი საკმაოდ დაუფლებული არიან საagიტაციო საქმეს ვინ არ იცნობს აგიტატორებს: ლ. მირიღულაშვილს, ვერა ბერაძეს, ან იუზბაშოვს! მათი საუბარი ყოველთვის ცოცხალი და მიმზიდველია. ასეთები კი აქ არც თუ ისე ცოტანი არიან.

აგიტატორ სახნინის ჯგუფში უწინ მხოლოდ 2 სტახანოველი იყო. სახნინმა ისე მოაწყო თავისი აგიტაცია, რომ ამჟამად მისი ჯგუფი გეგმას თვალსაჩინო გადაჭარბებით ასრულებს, ახლა მას 4 სტახანოველი ჰყავს. ფაბრიკის მუშამ, აგიტატორმა ალადაშვილმა, რომელიც დიასახლისებს შორის მუშაობს, თავისი აგიტაციის შედეგად ფაბრიკაში სამუშაოდ მოიყვანა 3 დიასახლისი. ასევე აგიტატორი ი. ბაღდასაროვი დაეხმარა დიასახლისებს თავიანთი მცირეწლოვანი ბავშვები საბავშვო ბაღში მოეწყოთ. ახლა ეს დიასახლისები ფაბრიკაში მუშაობენ.

აგიტატორების ოლია დარდაგანის, ვერა ბერაძის და ი. ბაღდასაროვის ინიციატივით მოეწყო ავლაბრის არალეგალური რესტავრირებული სტამბის დათვალიერება. სტამბა ნახა 50 დიასახლისმა. ეწყობა ექსკურსია გორში—ბელადის სამშობლო ქალაქის დასათვალიერებლად. ფაბრიკაში ნაჩვენები იქნა ცნობილი პოპულარული ფილმი „ივან გუდოვი“.

მაგრამ ყველა აგიტატორი როდი მუშაობს დამაკმაყოფილებლად, ზოგ აგიტატორს ჯერაც არ დაუწყია მუშაობა. მაგალითად, ი. ხომასურიძე, სააკაძე, გ. გვენცაძე, ვ. ბუხრაშვილი და სხვ. თავს დამშვიდებულად გრძნობენ, ისინი ერთხელაც არ მისულან აგიტატორებთან. ზოგი აგიტატორი ერთი-ორი საუბრის ჩატარებით დაკმაყოფილდა. მაგალითად, ტარაბუკინს, კოხს, გ. კობერიძეს, ე. ხუცოშვილს, მატინოვს და სხვ. მხოლოდ 2-3 საუბარი აქვთ ჩატარებული.

ფ. ინწკირველი

თბილისის ბარიტექტორული ტექნიკუმის სტუდენტები (ზარცხნიდან): ლ. სერდიუკოვი, ნ. კანტაზიდი, ე. აბრამოვა, ს. ჯუტალოვა და ლ. დიკი პირველად მიიღებენ მონაწილეობას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში.
ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოკორონკა).

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲐᲑᲐᲨᲐ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება აბაშის რაიონში ფართოდ ჟაშალა. დასახულია საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრები. ამომრჩეველთა მოთხოვნით შექმნილია დებულების შემსწავლელთა 356 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 14.592 კაცი. წრეების ხელმძღვანელებად მიმაგრებული არიან კვალიფიციური აგიტატორები. საუკეთესოდ მუშაობენ ა. ბალთურია (სეფიეთი), ვ. ჯანელიძე (გეზათი), ალ. გვაზავა (სუჯუნა) და სხვ.

სამიქაოს მახარაძისა და ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობებში სუსტია საagიტაციო მუშაობა. ასევე ითქმის მარანის, ზანათის, გეზათის კოლმეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებზე, რომელებმაც აგიტატორებად წერა-კითხვის უკეთ დარნებიც კი გამოჰყვეს. მაგ. თ. მინოშვილი (ზანათი), რ. შუბლაძე (გეზათი), მაშინ როცა აქ მოიპოვებიან საკმაოდ გამოცდილი აგიტატორები.

საჭიროა პირველადმა პარტორგანიზაციებმა ეს ნაკლოვანებები ახლავე გამოასწორონ.

შ. ჭანტურაია.

ᲐᲒᲘᲯᲐᲯᲝᲠᲘ ᲝᲥᲠᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(ᲒᲝᲠᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

სკრის მებრძოლების საბჭოთა მეურნეობის მუშებს შორის მეურნეობის პარტორგანიზაციამ აგიტატორად გამოჰყო კომუნისტი ვ. ოქროშიაშვილი. ამჟ. ოქროშიაშვილი პირნათლად ასრულებს აგიტატორის მოვალეობას. განსაკუთრებით გულმოდგინე აგიტაციას ეწევა საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დებულების გარშემო. მეურნეობის მუშებს მან უკვე შეასწავლა დებულების 7 თავი.

ამჟ. ოქროშიაშვილი არ კმაყოფილდება მარტო დებულების საკითხების განმარტებით. ის ხშირად ესაუბრება მუშებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ამ ხაზით მან სექტემბერში ჩაატარა 13 საუბარი.

უკანასკნელ ხანებში აგიტატორებს მიეცათ აგიტაციის ახალი თემა: ეს არის ჩვენი წითელი არმიის მიერ დასავლეთ ბელორუსიის და დასავლეთ უკრაინის მშრომელების განთავისუფლება პოლონელი პანების მძიმე უღლისაგან. ოქროშიაშვილი თავის საუბარში მუდამ ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ როგორ დაიწყო ახალი ცხოვრება დასავლეთ ბელორუსიაში და დასავლეთ უკრაინაში.

აგიტატორი ოქროშიაშვილი მეურნეობის მუშებს ხშირად ესაუბრება აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობის მეურნეობაში მიმაგრებულ აგიტატორებს თ. ხუხუას და შ. ე. ბუალავას. 3 მეცადინეობის მეტი არ ჩაუტარებიათ. ასევე სუსტად მუშაობენ ფოცხოს ბერიას და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში გამოყოფილი აგიტატორები ა. ჯოჯუა, თ. ნინუა, ან. ხუბუა, ვ. ჭყონია და სხვ. აღნიშნული ამხანაგები აგიტსემინარებსაც იშვიათად ესწრებიან.

ზოგიერთი აგიტატორი ვერ ერკვევა არჩევნების დებულებაში. მაგალითად, მ. სანაიამ (ფოცხო) ვერ განმარტა, თუ რას ნიშნავს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრა. გ. ზალამბერიძემ (ნოჭალაქევი) არ იცის სასოფლო და სარაიონო საბჭოს საარჩევნო ოლქი რამდენი მცხოვრებისაგან უნდა შესდგეს.

აღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ ზოგიერთი აგიტატორი თვითონ არ მეცადინეობს და არ სწავლობს არჩევნების კანონს.

რაიონში კარგად მიმდინარეობს ორგანიზაციული და ტექნიკური სამუშაოებიც. დაზუსტებულია მცხოვრებთა რაოდენობა და დასახულია ოლქებისა და უბნების საზღვრები.

წარმატებით მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, საrაიონო და სასოფლო რუკის შედგენა და საარჩევნო ოლქებისა და უბნებისათვის კომისიების შემადგენლობის შერჩევა. რაიონული საბჭოს არჩევნებისათვის უნდა შეიქმნას 47 ოლქი, ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის — 35 ოლქი, სასოფლო საბჭოების არჩევნებისათვის — 346 ოლქი და რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოს არჩევნებისათვის — 26 საარჩევნო უბანი. ყველა ოლქებისა და უბნებისათვის გამოყოფილია ბინები.

ვ. ჯალაღონია.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲘᲨᲐᲚᲐ ᲡᲐᲐᲒᲘᲯᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

(ᲪᲐᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ცხაკაიას რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თავიდანვე ენერგიულად შეუდგნენ აღგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების აბაშის რაიონში ფართოდ ჟაშალა. დასახულია საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრები. ამომრჩეველთა მოთხოვნით შექმნილია დებულების შემსწავლელთა 356 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 14.592 კაცი. წრეების ხელმძღვანელებად მიმაგრებული არიან კვალიფიციური აგიტატორები. საუკეთესოდ მუშაობენ ა. ბალთურია (სეფიეთი), ვ. ჯანელიძე (გეზათი), ალ. გვაზავა (სუჯუნა) და სხვ.

სამიქაოს მახარაძისა და ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობებში სუსტია საagიტაციო მუშაობა. ასევე ითქმის მარანის, ზანათის, გეზათის კოლმეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებზე, რომელებმაც აგიტატორებად წერა-კითხვის უკეთ დარნებიც კი გამოჰყვეს. მაგ. თ. მინოშვილი (ზანათი), რ. შუბლაძე (გეზათი), მაშინ როცა აქ მოიპოვებიან საკმაოდ გამოცდილი აგიტატორები.

საჭიროა პირველადმა პარტორგანიზაციებმა ეს ნაკლოვანებები ახლავე გამოასწორონ.

შ. ჭანტურაია.

ᲐᲒᲘᲯᲐᲯᲝᲠᲘ ᲝᲥᲠᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(ᲒᲝᲠᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

სკრის მებრძოლების საბჭოთა მეურნეობის მუშებს შორის მეურნეობის პარტორგანიზაციამ აგიტატორად გამოჰყო კომუნისტი ვ. ოქროშიაშვილი. ამჟ. ოქროშიაშვილი პირნათლად ასრულებს აგიტატორის მოვალეობას. განსაკუთრებით გულმოდგინე აგიტაციას ეწევა საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დებულების გარშემო. მეურნეობის მუშებს მან უკვე შეასწავლა დებულების 7 თავი.

ამჟ. ოქროშიაშვილი არ კმაყოფილდება მარტო დებულების საკითხების განმარტებით. ის ხშირად ესაუბრება მუშებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. ამ ხაზით მან სექტემბერში ჩაატარა 13 საუბარი.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲘᲨᲐᲚᲐ ᲡᲐᲐᲒᲘᲯᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

(ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ცხაკაიის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თავიდანვე ენერგიულად შეუდგნენ აღგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. ფართოდ გაიშალა საagიტაციო მუშაობა მოსახლეობაში.

საagიტაციო მუშაობის ფართოდ გაშლასთან ერთად რაიონში გაიზარდა აგიტატორთა რიცხვი. თუ წინათ მუშაობდა 450-მდე აგიტატორი, ახლა მუშაობს 739. აგიტკოლექტივების რიცხვი 26-დან 34-დე ავიდა. საagიტაციო მუშაობაში აქტიურად ჩაბმული არიან კულტურული ძალები, აგრონომები, მასწავლებლები, იქიმები და სხვ.

საagიტაციო მუშაობა კარგადაა დაყენებული ნოჭალაქევის, ნოსირის, ძველი სინაკის, მზიფის, ხარშის და ქალაქის საბჭოში. აქ სისტემატურად ტარდება აგიტსემინარები და კონსულტაციები, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები აგიტატორებს ეხმარებიან, აგიტატორებიც დაუზარებლად მუშაობენ თავიანთ საagიტაციო უბნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მასწავლებელი ამხ. ნატაშა შელეგია.

საagიტაციო მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის კარგადაა გაშლილი ამიერ-კავკასიის და შავი ზღვის რკინიგზის კვანძში, სარეწაო კოოპერაციის არტელებში, აგრონომიტის ქარხანაში, მენჯის საკურორტო სამმართველოში და სხვ.

საagიტაციო მუშაობა ზოგიერთ უბნებში მაინც მოისუსტებს. მაგალითად, ცხაკაიაში მახარაძის, ჯორჯაძისა და ორჯონიკიძის ჭუჩებზე მცხოვრებთა შორის არავინ არ ფლობს საუბარს დებულების შესახებ. საქკოოპერაციის ცხაკაიას განყოფილებაში აგიტატორი შ. გრიგოლია და ნ. მეძველია საagიტაციო მუშაობას მხოლოდ ახლა შეუდგნენ. ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მიმაგრებულ აგიტატორებს თ. ხუხუას და შ. ე. ბუალავას 3 მეცადინეობის მეტი არ ჩაუტარებიათ. ასევე სუსტად მუშაობენ ფოცხოს ბერიას და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში გამოყოფილი აგიტატორები ა. ჯოჯუა, თ. ნინუა, ან. ხუბუა, ვ. ჭყონია და სხვ. აღნიშნული ამხანაგები აგიტსემინარებსაც იშვიათად ესწრებიან.

ზოგიერთი აგიტატორი ვერ ერკვევა არჩევნების დებულებაში. მაგალითად, მ. სანაიამ (ფოცხო) ვერ განმარტა, თუ რას ნიშნავს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრა. გ. ზალამბერიძემ (ნოჭალაქევი) არ იცის სასოფლო და სარაიონო საბჭოს საარჩევნო ოლქი რამდენი მცხოვრებისაგან უნდა შესდგეს.

აღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ ზოგიერთი აგიტატორი თვითონ არ მეცადინეობს და არ სწავლობს არჩევნების კანონს.

რაიონში კარგად მიმდინარეობს ორგანიზაციული და ტექნიკური სამუშაოებიც. დაზუსტებულია მცხოვრებთა რაოდენობა და დასახულია ოლქებისა და უბნების საზღვრები.

წარმატებით მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, საrაიონო და სასოფლო რუკის შედგენა და საარჩევნო ოლქებისა და უბნებისათვის კომისიების შემადგენლობის შერჩევა. რაიონული საბჭოს არჩევნებისათვის უნდა შეიქმნას 47 ოლქი, ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის — 35 ოლქი, სასოფლო საბჭოების არჩევნებისათვის — 346 ოლქი და რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოს არჩევნებისათვის — 26 საარჩევნო უბანი. ყველა ოლქებისა და უბნებისათვის გამოყოფილია ბინები.

ვ. ჯალაღონია.

თბილისის მე-46 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები (ზარცხნიდან): ტ. გეგეჭკორი, მ. გამოევი, მ. ფრუიე და გ. ჭდაშვილი პირველად მიიღებენ მონაწილეობას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში.
ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოკორონკა).

ᲙᲐᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ

სიღნაღის რაიონში დროულად დაიწყო მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ჯერ კიდევ აგვისტოში ეს საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა სათანადო ღონისძიებები. ჩატარდა პარტორგანიზაციების, მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირები ჩატარებულ იქნა აგრეთვე საინსტრუქტორო ზონების მიხედვით. გარდა ამისა, რაიონის ცენტრში მოეწყო აგიტატორების გადასამზადებელი ათდღიანი კურსები 30 აგიტატორისათვის და პარტორგანიზაციების მდივნების 5-დღიანი კურსკონფერენცია. 12 ოქტომბერს არჩევნებისათვის მზადების საკითხი განხილულ იქნა რაიკომის პლენუმზე.

რაიონის მოსახლეობის ძირითადი მასა დამოუკიდებლად სწავლობს არჩევნების დებულებას, ხოლო ისინი, ვისაც ეს არ შეუძლია, აგიტატორების საშუალებით სწავლობენ საარჩევნო კანონს.

საგრძნობლად გაიზარდა აგიტატორთა პარტიული და რიცხვობრივი შემადგენლობა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს რაიონში მუშაობდა 18 აგიტკოლექტივი 640 აგიტატორის შემადგენლობით. აქედან პარტიის 168 წევრი და კანდიდატი, და 238 კომკავშირელი იყო, ხოლო დანარჩენი უპარტიო მოწინავე ადამიანები. წელს კი სურათი შემდეგნაირია: რაიონში მუშაობს 20 აგიტკოლექტივი 745 აგიტატორის შემადგენლობით, აქედან პარტიის 250 წევრი და წევრობის კანდიდატი, 276 კომკავშირელი; დანარჩენი 219 კაცი სოფლის მოწინავე ინტელიგენციიდანაა.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ არჩევნებისათვის მზადებას. სოფ. ქვემო-ბოდბის პირველადი პარტორგანიზაციის (მდივანი — მაჟღარაშვილი) და ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერთან“ მაისის სახელობის კოლმეურნეობას. თან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (მდივანი—ამხ. ი. ძნაშვილი) გამოჰყო 11 აგიტატორი, რომლებმაც არჩევნებთან დაკავშირებით მოსახლეობაში ჩაატარეს 82 საუბარი. მუშაობის კარგ მიგნებას იძლევა აგრეთვე სოფ. ანაგის ტერიტორიული პარტორგანიზაცია (მდივანი—ლ. მახარაშვილი), მას ჰყავს 18 აგიტატორი, რომლებმაც 107 საუბარი ჩაატარეს.

აგიტატორებს შორის მოწინავენი არიან ამხ. თ. კოკლამაზაშვილი (უპარტიო), ლ. ხუნაშვილი (პარტიის წევრი), კატუშა სეირხნოვი, ნ. ბოლოშვილი და სხვ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი პარტორგანიზაციის მდივნებისა და აგიტატორების უპასუხისმგებლობის ფაქტები. ქვემო-მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველად პარტორგანიზაციას (მდივანი — მაძღარაშვილი) და ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერთან“ არსებული პირველადის პარტორგანიზაციას (მდივანი — კოკილაშვილი) ჯერ კიდევ არ განუხილავთ არჩევნებისათვის მზადების საკითხი და არც არაფერს აკეთებენ ამ მიმართულებით. აქ არც აგიტატორები მუშაობენ.

ჩვენს რაიონში უნდა შეიქმნას 34 საარჩევნო უბანი, 50 საარჩევნო ოლქი სარაიონო საბჭოს არჩევნებისათვის, 35 საარჩევნო ოლქი საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის, 294 საარჩევნო ოლქი სასოფლო საბჭოების არჩევნებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რაიონის პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ახლავე ფართოდ გავშალოთ მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐᲨᲘ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

ზაბლუდოვი, 22 ოქტომბერი (საკდესი). პირველი სამი საათის განმავლობაში ხმა მისცა ყველა ამომრჩევლის დაახლოებით ერთმა მეოთხედმა. ეს მოწმობს დიდ პოლიტიკურ აქტივობას. ბევრია ახალგაზრდობა. ამომრჩევლები უბნებში მთელი ოჯახებით მიდიან. 80 წლის მობუცმა ამხ. ხოროვსკიმ ბიულეტენის ჩაშვებისას თქვა: „იცოცხლოს და განმტკიცდეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ბედნიერი ცხოვრება მოგვიტანა!“.

ნ. ი. შეინოგა,
დროებითი საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

○

ლომჟა, 22 ოქტომბერი (საკდესი). დიდი ენტუზიაზმით მიმდინარეობს ხმის მიცემა პიატნიცკის სასოფლო საარჩევნო ოლქში. ამ ოლქში მემამულეთა მიწები მთლიანად გადაწილებულია გლეხებს შორის. სახალხო კრების დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, გლეხ ამხ. მ. ს. ვირავას ამომრჩევლებმა ერთხმულად მისცეს შემდეგი განაწესი — ხმა მისცენ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა კავშირთან შეერთებას, მემამულეთა მიწების კონფისკაციის დამტკიცებას, მრეწველობის ნაციონალიზაციას.

დილის ხუთ საათზე ნოვოგრუდის საარჩევნო უბანში მოვიდა გლეხი მაკეი იაკუბის-ძე სტასელსკი. მან განაცხადა, რომ სურს პირველმა ივისკის ხმა თავის კანდიდატს.

გუშინ ჩვენ 4 წინასაარჩევნო მიტინგი ჩავატარეთ. თვითეული მათგანი განს 2-3 ათასი კაცი დაესწრო. დიდ ხანს გაისმოდა მხურვალე მისალმებანი საბჭოთა კავშირის პატრონსაცმად, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, ამხანაგ ვოროშილოვის პატივსაცემად, მძლავრი, უძლეველი წითელი არმიის პატივსაცემად.

აქტიურად მიმდინარეობს ხმისმიცემა რიბაკოვის საარჩევნო ოლქში. დილის 8 საათისათვის აქ ხმა მისცა 462 კაცმა.

ფ. ვ. გრაშჩენკოვი.
დროებითი მმართველობის თავმჯდომარე.

○

ბროდნო, 22 ოქტომბერი. სამი კაბინა მუდამ დაკავებულია. ამომრჩეველთა ნაკადი განუწყვეტლივ მატულობს. მშრომელები აქ დებენ. რომ ისინი კმაყოფილებით აძლევენ ხმას სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატს, ყოფილ პოლიტპატიმარს ამხ. ხ. სტრონგინს. დილის 10 საათისათვის 1.200 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 368 კაცმა.

ზეინა პიკი,
პირველ უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

(საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲑᲐ ᲛᲐᲢᲠᲝᲛᲝᲕᲘ (დასავლეთ ბელორუსია), 22 ოქტომბერი (საკდესი). განუწყვეტელ ნაკადად მიედინებიან საარჩევნო უბნებში გლეხებისა და შინაარეწველების, ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფები. დილის სრულ 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ ი. ბილოსტოცკიმ მიაწვდინა ამომრჩევლებს, კენჭისყრა დაიწყოთ.

მოკრძალებით იღებს ბიულეტენს 55 წლის გურშ ბერნშტეინი. ის კრძალვით იკვნიტს სახალხო კრების დეპუტატობის თავის კანდიდატს, ლარინ გლეხს ამხ. ბუსლოვს. ამხ. ბუსლოვი სხვა გლეხებთან ერთად ღარალს ჭყვრიდა პოლიციელებს, როცა გაიგო, რომ წითელმა არმიამ საზღვარი გადალახა.

საარჩევნო ყუთში პირველი ბიულეტენი ეშვება.

ლარიბმა გლეხმა ი. ლ. ლესკოვ სკიმ ხმა მისცა თავის კანდიდატს და შემდეგი სიტყვებით მიმართა ღამსწრეთ:

60-ზე მეტი წელია ვცხოვრობ და მხოლოდ ახლა ვგრძნობ ძლვის, რომ მე, ლარან კაცს, მეკუთხეინან, თუ როგორა მსურს ვიცხოვრო და რა ხელისუფლება მჭირდება. და აი, მეც ვპასუხობ: მე მოვითხოვ დამყარებულ იქნას საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც თავისუფლება მომიტანა. ეს მთელი ხალხის ნებასურვილია. ეს უნდა სთქვას სახალხო კრებაზე ჩვენმა კანდიდატმა ამხ. ბუსლოვმა.

უბანში ახალ-ახალი ხალხი მოდის. დილის 8 საათისათვის კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ამომრჩეველმა.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ

ზაბლუდოვი, 22 ოქტომბერი (საკდესი). პირველი სამი საათის განმავლობაში ხმა მისცა ყველა ამომრჩევლის დაახლოებით ერთმა მეოთხედმა. ეს მოწმობს დიდ პოლიტიკურ აქტივობას. ბევრია ახალგაზრდობა. ამომრჩევლები უბნებში მთელი ოჯახებით მიდიან. 80 წლის მობუცმა ამხ. ხოროვსკიმ ბიულეტენის ჩაშვებისას თქვა: „იცოცხლოს და განმტკიცდეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ბედნიერი ცხოვრება მოგვიტანა!“.

ნ. ი. შეინოგა,
დროებითი საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

○

ლომჟა, 22 ოქტომბერი (საკდესი). დიდი ენტუზიაზმით მიმდინარეობს ხმის მიცემა პიატნიცკის სასოფლო საარჩევნო ოლქში. ამ ოლქში მემამულეთა მიწები მთლიანად გადაწილებულია გლეხებს შორის. სახალხო კრების დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, გლეხ ამხ. მ. ს. ვირავას ამომრჩევლებმა ერთხმულად მისცეს შემდეგი განაწესი — ხმა მისცენ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა კავშირთან შეერთებას, მემამულეთა მიწების კონფისკაციის დამტკიცებას, მრეწველობის ნაციონალიზაციას.

დილის ხუთ საათზე ნოვოგრუდის საარჩევნო უბანში მოვიდა გლეხი მაკეი იაკუბის-ძე სტასელსკი. მან განაცხადა, რომ სურს პირველმა ივისკის ხმა თავის კანდიდატს.

გუშინ ჩვენ 4 წინასაარჩევნო მიტინგი ჩავატარეთ. თვითეული მათგანი განს 2-3 ათასი კაცი დაესწრო. დიდ ხანს გაისმოდა მხურვალე მისალმებანი საბჭოთა კავშირის პატრონსაცმად, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, ამხანაგ ვოროშილოვის პატივსაცემად, მძლავრი, უძლეველი წითელი არმიის პატივსაცემად.

აქტიურად მიმდინარეობს ხმისმიცემა რიბაკოვის საარჩევნო ოლქში. დილის 8 საათისათვის აქ ხმა მისცა 462 კაცმა.

ფ. ვ. გრაშჩენკოვი.
დროებითი მმართველობის თავმჯდომარე.

○

ბროდნო, 22 ოქტომბერი. სამი კაბინა მუდამ დაკავებულია. ამომრჩეველთა ნაკადი განუწყვეტლივ მატულობს. მშრომელები აქ დებენ. რომ ისინი კმაყოფილებით აძლევენ ხმას სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატს, ყოფილ პოლიტპატიმარს ამხ. ხ. სტრონგინს. დილის 10 საათისათვის 1.200 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 368 კაცმა.

ზეინა პიკი,
პირველ უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

(საკდესი).

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ბრესტ-ლიტოვსკი, 22 ოქტომბერი (საკდესის სპეკკორესპონდენტისაგან). დილის ექვსი საათია. თენდება. ჩვეულებრივ, ამ საათებში ქალაქს სძინავს, მაგრამ დღეს ქუჩებში უკვე სადღესასწაულოდ მოთოთქული დიდძალი ხალხი გამოფენილა. ყველანი საარჩევნო ურნებისკენ მიიჩქარიან, რათა პირველებმა მისცენ ხმა იმათ ვინც დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრებაში თავის ამომრჩეველთა ნება-სურვილს შეასრულებს, გადასწყვეტს საბჭოთა კავშირთან შეერთების საკითხს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხს, გადასწყვეტს მიწის, ბანკებისა და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხს.

ბრესტ-ლიტოვსკის მე-12 საკალნიგზო ოლქის მე-58 საარჩევნო უბანში პირველი მო

საქართველო-დიდი სტალინის სამშობლო-ჰყვაოს სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. **სურათზე:** სკულპტურული ჯგუფი „ამხანაგი სტალინი ბავშვებთან". ქანდაკება დადგმულია ნორჩ ნატურალისტთა პავილიონთან.

ორდენოსანი საქართველო გამოფენაზე

ს. ხოშტარია

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სკპ სსრ მაწათმოქმედების სახალხო კომისარი

სურათებს გადაჰყავს მნახველი იმ ეპოქაში, როდესაც ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა, გლეხებმა და მოწინავე ინტელიგენციამ ცარიზმთან, მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს.

შესანიშნავად არის მოცემული მხატვართა სურათები **ლ. ბერიას** წიგნის **„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"**—მიხედვით, იმ წიგნისა, რომელიც წარმოადგენს ძვირფას განძს ლენინიზმის საუნჯეში.

ცენტრალურ დარბაზში მოთავსებულია ამხანაგ **ვოროშილოვის, მიქოიანის, კალინინის** სურათები, შესრულებული საქართველოს მხატვრების მიერ.

საქართველოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით თავდადებულ მუშაობას ეწევიან სუბტროპიკული, ტიქნიკური და სხვა ახალი ძვირფასი კულტურების შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველოში შექმნილია ჩაის მრეწველობის მტკიცე ბაზა, ყოველწლიურად იზრდება ციტრუსების, თამბაქოს, ტუნგოს. ყურძნის პროდუქტია. ფართო გზა ეძლევა ისეთ შესანიშნავ კულტურებს, როგორიცაა ევკალიპტი, გერანი, რძმი და სხვ. საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მიწათმოქმედების პროდუქტთა ეს სიუხვე ნათლად ასახულია პავილიონში და მის სტენდებზე.

სუბტროპიკული მეურნეობის დარბაზში რუკაზე გამოსახულია ციფრი 44.977. ეს არის ჩაის პლანტაციების ჰექტართა რაოდენობა საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მეორე სტალინური ხუთწლედის ბოლოს ჩაის მეურნეობა საქართველოში 44-ჯერ გაიზარდა. ჩაის მაღალი მოსავლიანობის მიღებით გამოფენაზე მონაწილეობს ქობულეთის რაიონის ს. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც 1937 და 1938 წლებში ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 3.847 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ყურადღებას იპყრობს მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის, საბჭოთა მეურნეობის მიღწევები. მეურნეობამ 1936 წელს სახელმწიფოს ჩააბარა 729.446 კილოგრამი ფოთოლი, 1938 წელს კი 1.236.779 კილოგრამი. პატრონს მარჯვენა მხარეზე ნაჩვენებია მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა.

საქართველო მდიდარია ციტრუსოვანი კულტურებით. ბოლშევიკებმა ახალი სიმშობლო მიუჩინეს ციტრუსებს. ამჟამად საქართველოში ციტრუსებს 15.000 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ. ციტრუსოვანთა მეურნეობის ბრწყინვალე გამარჯვებანი ნათლად ასახულია სუბტროპიკულ პავილიონში. ციტრუსების აყვავებულმა ბაღებმა 1938 წელს ქვეყანას მისცა 240 მილიონი ცალი ნაყოფი.

გამოფენის მონაწილემ გონიოს (აჭარა) ბეღლის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ 1937 წელს ლიმონის თითეულ ხეზე საშუალოდ მოჰკრიფა 560 ცალი ლიმონი, ხოლო 1938 წელს—1.657 ცალი (გამოფენაში მონაწილეობისათვის ნორმით გათვალისწინებული იყო 350 ცალი). ფორთოხლის თითეულ ხეზე მოჰკრიფეს 5-6.000 ცალი ნაყოფი. ტელმანის სახელობის ხეზე კი—7.500 ცალი ნაყოფი. ფოტოზე არის ტელმანის სახელობის ფორთოხლის ხე, რომელიც მნახველთა დიდ აღფრთოვანებას იწვევს. გამოფენაზე წარმოდგენილია კოლმეურნეობების ციტრუსოვანთა ნაყოფის ნატურალური პროდუქცია. აქვე არის მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც თვითეულ ხეზე საშუალოდ ჰკრეფს 465 ცალ ნაყოფს.

შესანიშნავია სუბტროპიკული ორანჟერეა. ეს დიდი შენობა შეიცავს 600 კვადრატულ მეტრს. ორანჟერეა 11 მეტრის სიმაღლისაა.

